community

The New Apostolic Church around the world

02/2018/GE

გზად პაპუა-ახალ გვინეაში

რედაქციისგან:
აღვნიშნოთ კვირა დღე

ღვთისმსახურება:
ღვთიური საბოძვარი

ეკლესიის მოძღვრება:
ხსნა ახალ შემოქმედებაში
და საკონფირმაციო ფიცი

New Apostolic Church
International

აღვნიშნოთ კვირა დღე

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ის, რომ ჩვენ, როგორც ქრისტიანები, კვირა დღეს აღვნიშნავთ, კურთხეული ტრადიციაა.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ იესო ქრისტე აღდგა.

მთელი კვირის განმავლობაში გარკვეულ უსამართლობას განვიცდით, ბევრი ცუდი გვესმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამის მერე კი, კვირას ერთად ვიკრიბებით და ვაღიარებთ: „ყველაფრის მიუხედავად ჩვენ გვწამს, რომ იესო ქრისტე აღდგა. მან დათრგუნა სიკვდილი, ბოროტება, ცოდვა. ის იტოვებს უფლებას, ის იტოვებს ბოლო სიტყვას!“ ეს არაჩვეულებრივი ფორმაა იმისა, რომ დავასრულოთ ერთი კვირა და დავიწყოთ ახალი.

ჩვენ ვაღიარებთ მკვდართა აღდგომას და საკუთარი შეცვლის იმედი გვაქვს.

ველოდებით მკვდართა აღდგომასა და ცოცხალთა შეცვლას.რაღაარგანგვიცდია,რაღაარგადაგვიტანია, რაღა არ გვინახავს, მაგრამ ჩვენი იმედი მაინც ქრისტეს მეორედ მოსვლაზეა დაფუძნებული. როცა კვირაობით ღვთისმსახურებაზე ვიკრიბებით და ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანს ვუთმობთ ადგილს, ამით მაგალითს ვიძლევით.

ვაღიარებთ სიკეთეს.

ადამიანები სხვადასხვა მიზეზებით საკუთარი თავის დემონსტრირებას ახდენენ, რადგან თავიანთი პოზიციის წარმოჩინება სურთ: „ჩვენ არ ვეთანხმებით ამასა თუ იმას. ჩვენ ამას სხვაგვარად ვხედავთ.“ როგორც ქრისტიანები, ჩვენ არ ვეთანხმებით უსამართლობას, ბოროტის ბატონობას. და ამას ვაჩვენებთ კიდეც, როცა კვირას ღვთისმსახურებაზე ვიკრიბებით. გვწამს, რომ ბოროტებას სიკეთე სძლევს. გვწამს, რომ იესო ქრისტე აღდგა და მეორედ მოვა.

მოდით, ყოველი კვირა დღე ასე აღვნიშნოთ.

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი თერთმეტი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ავსტრალიასა და პაპუა-ახალ გვინეაში. ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, ის კომბიკუმში გაემგზავრა მადლიერების დღისადმი მიძღვნილ ღვთისმსახურებაზე.

ფოტო: ავსტრალიის ახსე

ღვთიური საბოძვარი

2. კორ. 9, 8:

„ხოლო ღმერთს ძალუძს გაგამდიდროთ ყოველგვარი მადლით, რათა თქვენ, ყველაფერში მუდამ ყოველივეს საკმარისად მქონენი, მდიდარნი იყოთ ყოველ კეთილ საქმეში.“

საყვარელო და-ძმანო, ჩემთვის დიდად სასიხარულოა და დიდი მადლია ამ ღვთისმსახურების თქვენს წრეში განცდა. ეს განსაკუთრებული ღვთისმსახურებაა. დღეს მადლიერების დღესასწაულს ვზეიმობთ. მადლობას ვუხდით ღმერთს ყველაფრისათვის, რაც გვიბოძა. ცხადია, ღმერთს არ სჭირდება ჩვენი მადლიერება და ჩვენი მსხვერპლი. ის არ გვგავს ჩვენ, ადამიანებს. როცა ადამიანები რაღაცას აკეთებენ ან გასცემენ, როგორც წესი, მადლობას ელოდებიან, მაგრამ თუ არავინ გადაუხდის მადლობას, მაშინ გული სწყდებათ ან სულაც ბრაზდებიან. ღმერთს კი არც ჩვენი მადლობა და არც ჩვენი მსხვერპლი არ სჭირდება. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მას ჩვენგან შეიძლება მადლობის მოსმენა უნდოდეს, არის ის, რომ ამით ჩვენ უფრო მეტ კურთხევას მივიღებთ. და რას ვაკეთებთ, როცა მადლიერების დღისათვის ვემზადებით? ვითვლით ღვთისგან ნაწყალობევ მრავალ საბოძვარს. ამასთანავე, ვაცნობიერებთ, თუ რამდენი რამ გვიბოძა

მამაზეციერმა. ვაცნობიერებთ, თუ რამდენად დიდია მისი მადლი ჩვენდამი. და, როცა მადლიერების დღისათვის ვემზადებით, ვხვდებით, თუ რამხელა სიმდიდრეს ვფლობთ ღმერთში. კურთხევა იმის შემეცნებიდან მოდის, თუ როგორი მდიდრები ვართ ღმერთში. ის სიხარულიც კი კურთხევაა, რომელსაც დღეს განვიცდით.

მოციქული აქ წერს, რომ ღმერთს უხვად აქვს მადლი ჩვენთვის. როცა მადლიერების დღესასწაულს ვზეიმობთ, მამა-ღმერთისადმი რწმენას ვაღიარებთ. გვწამს, რომ ყველაფერი მამა-ღმერთისგან მოდის და ყოველივე ეს წყალობაა. გვწამს, რომ სიცოცხლე ღმერთთან არის, ვინაიდან მან გვიბოძა იგი. მამა-ღმერთია ყოველი სიცოცხლის დასაბამი. სიცოცხლე მხოლოდ ღვთისგან მოდის და მადლობლები ვართ მისი ამისთვის. ჩვენ, ადამიანებს, ეს არ შეგვიძლია. სიცოცხლე იმიტომ არის შესაძლებელი, რომ მას ღმერთი, შემოქმედი, გვაძლევს. მამა-ღმერთმა, შემოქმედმა, შექმნა სამყარო - ბუნება - და ადამიანებს მიანდო იგი, როგორც საბოძვარი: „გაძლევთ ბუნებას, შემოქმედებას.“ ის ღვთის საჩუქარია. მან სრულქმნილი შემოქმედება გვაჩუქა და ჩვენ მადლობლები ვართ ამ საჩუქრისთვის.

ის კიდევ უფრო მეტს გვაძლევს, ვინაიდან ინახავს შემოქმედებას და შექმნილ სიცოცხლეს. მამა-ღმერთი გვაძლევს ჯანმრთელობას. მამა-ღმერთი გვაძლევს ძალას, რომელიც სამუშაოდ გვჭირდება და ღმერთი აკურთხებს ჩვენს შრომას. ჯანმრთელობა წყალობაა. მას ვერ დავიმსახურებთ. შემიძლია გითხრათ, რომ ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც ჩემზე გაცილებით უკეთესები არიან. მათ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ ავად არიან. კარგად მესმის, რომ ჯანმრთელობა, მართლაც, წყალობაა. მას ვერ დავიმსახურებთ და ამიტომაც მადლობლები ვართ ამისთვის. ღმერთი გვაძლევს აგრეთვე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო უნარსა და ძალას. ესეც წყალობაა. ამისთვისაც მადლობლები ვართ. ვიცნობ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ბევრს მუშაობენ, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევენ. თუ ღმერთი არ აკურთხებს სამუშაოს, ის წარმატებული ვერ იქნება. მოდით, მადლობა გადავუხადოთ ღმერთს იმისათვის, რომ ჯანმრთელობა და ძალა მოგვცა და ჩვენს შრომას აკურთხებს.

> ღმერთი მარტო მინიმუმს კი არ გვაძლევს, არამედ უხვად, რათა კეთილი საქმეების კეთება შევძლოთ.

ღმერთმა ადამიანებიც მოგვცა, რომლებიც ჩვენს გარშემო არიან. წყალობაა, ჰყავდეს ადამიანს ქმარი ან ცოლი. განსაკუთრებული წყალობა კი შვილების ყოლაა. სხვა ადამიანების გერემოცვაში ყოფნაც წყალობაა. ჩვენი ცხოვრება მძიმე იქნებოდა, სულ მარტო რომ ვყოფილიყავით. ხშირად სხვის დახმარებაზე ვართ დამოკიდებულნი. წყალობაა, როცა ოჯახის ნაწილი ხარ. დიდი წყალობაა ერთი რომელიმე ერის ნაწილად ყოფნა. ღმერთმა სიყვარულითა და სიბრძნით რჯული მოგვცა: მცნებები. ეს მადლია, ვინაიდან, თუ ამ მცნებების მიხედვით ვიმოქმედებთ, თანაცხოვრება მშვიდობიანი და გაწონასწორებული შეიძლება

24.000-ზე მეტ მონაწილეს ითვლიდა ღვთისმსახურება პაპუა-ახალ გვინეაში.

იყოს. ჩვენ მადლობლები ვართ ღვთისა ამ მცნებების, რჯულის, გამო. თუ დავიცავთ მათ, მაშინ ჩვენი ცხოვრება მშვიდობიანი და გაწონასწორებული იქნება. ჩვენ მადლობას ვუხდით ღმერთს ყოველივე იმისათვის, რაც გვიბოძა: შემოქმედებისათვის, სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის, ძალისა და კურთხევისათვის, ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანებისა და ღვთიური მცნებებისათვის. ჩვენ ისიც ვიცით და გვწამს, რომ ღმერთმა საკმარისად მოგვცა იმისათვის, რათა კეთილი საქმეების კეთება შევძლოთ. მაგრამ ის მინიმუმს კი არ გვაძლევს, არამედ უხვად, რამეთუ კეთილი საქმეები ვაკეთოთ.

> როგორც ღვთის შვილებს, გვწამს, რომ ღმერთი საკმარისად გვაძლევს, რათა მოყვასის დახმარება შევძლოთ.

როგორია ეს კეთილი საქმეები? პირველი კეთილი საქმე უდავოდ ღმერთის მიმართ ჩვენი მადლიერებაა. ჩვენ მადლობას ვუხდით მას ყველა მონიჭებული საბოძვარისათვის. ჩვენ გვჯერა, რომ ის ყოველთვის საკმარისად გვაძლევს, რათა მადლობა გადავუხადოთ მას. ყოველთვის საკმარისად გვაქვს აგრეთვე იმისათვის, რომ სამადლობელო მსხვერპლიც შევწიროთ ღმერთს: „ეს შენია, რამეთუ გვაკურთხე.“ და-ძმანო, მოდით, აი ასეთი მტკიცე რწმენა გამოვიჩინოთ. ღმერთი ყოველთვის უხვად გვაძლევს, რათა ჩვენი მსხვერპლის მეშვეობით მის მიმართ მადლიერების გამოხატვა შევძლოთ. ყოველთვისსაკმარისად გვაქვს იმისთვისაც, რომ კეთილი საქმე გავაკეთოთ და მოყვასთან ერთად გავიზიაროთ. ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვიფიქროთ. ღმერთმა შემოქმედება მოგვცა. ბუნებასთან დამოკიდებულებაშიც შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ მარტო ჩვენს მოყვასზე კი არ ვიფიქროთ, არამედ მომდევნო თაობაზეც. ჩვენ გვჯერა, რომ ის ყველას ეყოფა. მოდით, ასეთივე სიფრთხილით მოვეკიდოთ ბუნებასა და ბუნებრივ

ბევრ მორწმუნეს ჩამოსასვლელად თითქმის შვიდი დღე დასჭირდა - ფეხით. მათ მოსამარაგებლად კომბიკუმის თემებმა ჯერ კიდევ რამოდენიმე თვით ადრე დათესეს დამატებითი საკვები და მოაწყვეს თავშესაფრები.

რესურსებს და მარტო საკუთარ თავზე ნუ ვიფიქრებთ. და იმ შემთხვევაშიც, თუ მოჭარბებულად არ გვექნება, ღმერთი მაინც საკმარისად მოგვცემს, რათა გაჭირვებაში მყოფი მოყვასის დახმარება შევძლოთ.

მე ბევრ ისეთ ადამიანს ვიცნობ, ვინც ამას არ ეთანხმება. ისინი მოსთქვამენ: „ისეთი ღარიბები ვართ, არაფერი გაგვაჩნია.“ ჩვენ, ღვთის შვილებს, გვწამს, რომ ღმერთმა საკმარისად მოგვცა იმისათვის, რომ მოყვასს დავეხმაროთ. ასეთია ჩვენი რწმენა. გვწამს, რომ ღმერთმა საკმარისად მოგვცა სიცოცხლისათვის და ჩვენ შევძლებთ, დავიცვათ ღვთიური მცნებები. არავინ გვაიძულებს ცოდვის ჩადენას იმის მისაღებად, რაც გვჭირდება. ბევრი ადამიანი ასე ფიქრობს: „საარსებოდ საკმარისად არ მაქვს, მოდი, მოვიპარავ.“ მათ ყოველგვარი პატიოსნება დაკარგეს, ვინაიდან უფრო მეტი სურთ. ჩვენი რწმენა ასეთი არ არის. ჩვენ კმაყოფილები ვართ იმით, რასაც ჩვენი შრომით გამოვიმუშავებთ ღვთის რჯულის დაცვით. გვჯერა, რომ ღმერთმა საკმარისად მოგვცა, რამეთუ მისი მცნებების დაცვა შევძლოთ.

იმისიც გვწამს, რომ საკმაოდ ბევრი გვაქვს, რათა ჩვენს სულზე ზრუნვაც შევძლოთ. ბევრი ადამიანი ასე ამბობს: „მომწონს თქვენი ეკლესია, მაგრამ იმდენი დრო არ მაქვს, რომ მანდ ვიარო. იცით, უნდა ვიმუშაო და ოჯახი გამოვკვებო.“ ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი ყველაფრით უზრუნველგვყოფს, რაც გვჭირდება, რათა ჩვენს სულზე ვიზრუნოთ და არ „დავისაჯოთ“ იმისათვის, რომ ეკლესიაში დავდივართ. ჩვენ შევძლებთ ვიაროთ ღვთისმსახურებებზე და ვიზრუნოთ ჩვენს სულზე ისე, რომ ამით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას არაფერი დააკლდეს.

ღმერთმა დიდი მადლი გვიწყალობა. წყალობიდან გამომდინარე უხვად დაგვასაჩუქრა, რათა მადლიერები ვყოფილიყავით, სხვაზე ფიქრი და მათი დახმარება შეგვძლებოდა. მან ისე უხვად დაგვასაჩუქრა, რომ შეგვიძლია დავიცვათ მისი მცნებები და ვიზრუნოთ ჩვენს სულზე.

ჩვენ იესო ქრისტეს მადლიერებიც ვართ, სულიწმიდის მადლიერები. იესო ქრისტემ, ღვთის ძემ, განსაკუთრებული საჩუქარი გაგვიკეთა, განსაკუთრებული წყალობა გაიღო ჩვენთვის. მან სიცოცხლე შესწირა, რათა ჩვენი წილხვედრი საუკუნო სიცოცხლე ყოფილიყო. მისი მსხვერპლის წყალობით ღმერთთან საუკუნო თანაზიარებისა და მის სასუფეველში შესვლის შესაძლებლობა მოგვეცა. სხვა ვერავინ სძლევდა სიკვდილსა და ეშმაკს, თუ არა ის. და გულწრფელად რომ ვთქვათ, ეს არ დაგვიმსახურებია. როცა იესომ მე შემომწირა სიცოცხლე, დაბადებულიც კი არ ვიყავი. არავინ იცოდა, საერთოდ დავიბადებოდი თუ არა ოდესმე. მაგრამ მას ისე ძალიან ვუყვარდი,

საკურთხეველთან სხედან: სამხ. მოციქულის თანაშემწე ედი ინსუნგროჰო, სამხ. მოციქულის თანაშემწე პეტერ შულტე და სამხ. მოციქული ენდრიუ ენდერსონი

რომ ჩემთვის მოკვდა. რამხელა წყალობაა! ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია ამისათვის, მაგრამ მან მაინც ყველაფერი მოგვცა. ჩვენ მადლობლები ვართ იესოს მსხვერპლისა და საუკუნო სიცოცხლის გამო.

მადლობლები ვართ სულიწმიდისა, ვინაიდან სულიწმიდის გარეშე იესოს ისტორიას კი წავიკითხავდით ბიბლიაში, მაგრამ ეს არაფერს გვარგებდა. რამეთუ სულიწმიდის ზემოქმედების შედეგად, ღვთის სიტყვისა და საიდუმლოების მეშვეობით, საუკუნო სიცოცხლეს ვეზიარებით. სულიწმიდა საუკუნო სიცოცხლის მიღწევაში გვეხმარება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამას შესაძლებელს ხდის. ამ სიცოცხლეს იგი სიტყვისა და საიდუმლოების მეშვეობით გვინარჩუნებს. ამიტომაც არის ეს განსაკუთრებული წყალობა იმისათვის, რომ ვიცნობდეთ იესო ქრისტეს და მისი მიმდევრობა შევძლოთ. ჩვენ მადლობლები ვართ სულიწმიდისა, რამეთუ იგი იესო ქრისტეს მიმდევრობის ძალას გვანიჭებს.

ღმერთმა სხვა ღვთის შვილებიც გვიბოძა. ჩვენ ყველანი ქრისტეს ეკლესიის ნაწილები ვართ. ვფიქრობ, დამეთანხმებით იმაში, რომ ძალიან რთული იქნებოდა ერთგულების შენარჩუნება, მარტონი რომ ვყოფილიყავით. ისეთი მადლობლები ვართ იმისა, რომ ამდენი და-ძმა გვყავს, რომლებიც გვეხმარებიან, რომლებიც ლოცულობენ ჩვენთვის და რომლებიც ჩვენთან ერთად და ჩვენთვის იბრძვიან.

სულიწმიდის მეშვეობით მან განსაკუთრებული მცნებაც მოგვცა. იცით იესო ქრისტეს მცნება? შედეგი და წარმატება გადამწყვეტი არ არის მისთვის. ერთადერთი, რაც მისთვის მნიშვნელოვანია, ჩვენი მცდელობა და სიყვარულია. საშინელება იქნებოდა, ღვთისათვის მხოლოდ ჩვენს წარმატებებს რომ ჰქონოდა მნიშვნელობა. ჩემი აზრით, მაშინ დღეს გაცილებით ნაკლებნი ვიქნებოდით. პირადად მე აქ არ ვიქნებოდი, ვინაიდან ღმერთს უკვე შევპირდი რაღაც-რაღაცეებს - შევპირდი, რომ დავძლევდი ამასა თუ იმას, რაღაცეებს მივატოვებდი, მისთვის ამასა თუ იმას გავაკეთებდი -, და ვერ მოვასწარი. მე არ ვიყავი წარმატებული. მადლობა ღმერთს, რომ იგი ასე არ აფასებს. ერთადერთი გადამწყვეტი მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სიყვარული და მისადმი თავდადებაა, ამის მცდელობა. ამიტომაც ვართ ასეთი მადლობლები ქრისტეს რჯულისათვის. მან სიყვარულის, მიტევების მცნება მოგვცა. სხვა შემთხვევაში არ გვექნებოდა თანაზიარება ერთმანეთთან. ეს არის ის მცნება, რომელიც ღმერთმა თავის ხალხს მისცა. სწორედ ამის საფუძველზე შეგვიძლია დავრჩეთ ერთად და ვიყოთ ერთნი.

ეს არის ღვთიური საბოძვარი. წყალობით გვიბოძა მან საუკუნო სიცოცხლე, რომელსაც იგი სიტყვითა და საიდუმლოებით გვინარჩუნებს. მან ღვთის შვილთა ერთობის ნაწილად ყოფნის წყალობა მოგვანიჭა, მოგვცა მოწყალების, სიყვარულისა და მიტევების მცნება. და ისე უხვად დაგვასაჩუქრა, რომ კეთილი საქმეების კეთება შევძლოთ. ისე უხვად დაგვასაჩუქრა, რომ შეგვიძლია უგულვებელვყოთ ყველაფერი, რაც ღვთისათვის მოსაწონი არ არის. არ უნდა გავყვეთ ეშმაკს. ღმერთმა იმდენი მოგვცა, რომ შეგვიძლია უარი ვთქვათ ჩვენს ზრახვებსა და შეხედულებებზე და იესოს ზრახვები გავითავისოთ. იმდენი მივიღეთ იესოსგან, რომ არად გვიღირს, ვთქვათ: „კარგი, რადგან ბოლომდე არ მეთანხმები, უარს ვიტყვი ჩემს იდეებზე და შენსავით ვიფიქრებ.“ თუ იესო გვეტყვის: არ მომწონს შენი ზრახვებიო, მაშინ ვუთხრათ: „კარგი, იესო, შევიცვლები.“

ჩვენ ამას შევძლებთ, რამეთუ მდიდრები ვართ:

დიდებით, რომელიც მან უკვე მოგვცა და იმ დიდებით, რომელსაც მოგვცემს - კერძოდ, ღმერთთან საუკუნო თანაზიარებასა და იესოს მსგავსად გახდომის შესაძლებლობას. ეს იმდენად დიდებული რამ არის, რომ შევძლებთ ავიტანოთ ტანჯვა ამქვეყნად და უფალსა და მოყვასს ვემსახუროთ - თუნდაც იმიტომ, რომ ვიცით, ღირს დავიტანჯოთ ქრისტესთვის და ქრისტესთან ერთად. მოდით, ვემსახუროთ უფალსა და მოყვასს. კარგია, თუ საკუთარ ნიჭსა და უნარს ღვთის საქმეს მოვახმართ: საზღაური ქრისტესთან საუკუნო თანაზიარება იქნება. დიდება, რომელშიც შევალთ, იმდენად ბრწყინვალე იქნება, რომ საერთოდ აღარ გაგვახსენდება ჩვენი ტანჯვა და მსახურება. ისინიც კი, ვინც მთელი ცხოვრება იტანჯებოდა, აღარ გაიხსენებენ ამას, როცა ქრისტესთან ერთად მის სასუფეველში იქნებიან. მაშასადამე, ღმერთი უხვ დაპირებებს გვაძლევს, რათა მსახურება შევძლოთ, და თუ აუცილებელი იქნება, ტანჯვაც ავიტანოთ. ღვთის მიერ მოცემული ეს დაპირება არაჩვეულებრივია. ღმერთმა უხვი საბოძვარი მოგვცა, რათა მშვიდობის სასუფეველში მსახურები გავხდეთ. წარმოიდგინეთ ეს! ღმერთმა შენც და მეც უხვად დაგვასაჩუქრა, თუმცა სუსტი ცოდვილები და არასრულყოფილები ვართ იმისათვის, რომ მშვიდობის სასუფეველში ქრისტეს ვემსახუროთ. და კიდევ, ღვთის ხელში ინსტრუმენტები ვართ ყველა ხალხისათვის. ღმერთმა დღესვე დაგვასაჩუქრა და ისე უხად, რომ შევძლოთ და ჩვენი სულიერი სიმდიდრე მოყვასსაც გავუზიაროთ. დღეს უკვე იმდენი გვაქვს, რომ შეგვიძლია ჩვენი რწმენა და ღვთის მადლი სხვებსაც ვუწილადოთ. და ეს მხოლოდ მშვიდობის სასუფეველში კი არა, არამედ ახლავე.

ეს იყო რამოდენიმე მაგალითი იმ საბოძვარისა, რომელიც ღვთის ძისა და სულიწმიდისგან მივიღეთ. ამისათვის დიდად მადლობლები ვართ. მოდით, ამით კეთილი საქმეები ვაკეთოთ. მოდით, უარი ვთქვათ ნებისმიერ ზრახვაზე, რომელიც არ ესათნოება ღმერთს. მოდით, ვემსახუროთ ღმერთს. საკმარისად გვაქვს იმისათვის, რომ ეს გავაკეთოთ. მოდით, ეს საბოძვარი მოყვასსაც ვუწილადოთ და იესოს მოძღვრება ვიუწყოთ. მისი მეორედ მოსვლისას ღვთის სასუფეველში მისთვის ვიმსახურებთ და ყველა ხალხისათვის ინსტრუმენტი ვიქნებით მის ხელში. საკმაოდ ბევრი მიზეზი გვაქვს იმისა, რომ ვადიდოთ ღმერთი და მადლობა გადავუხადოთ მას. ეს მადლიერება კურთხევაც არის ყველა ჩვენთაგანისათვის.

ძირითადი აზრები

მადლისა და წყალობის სიუხვე დედამიწაზე სიკეთის კეთებისა და იმის უნარს გვაძლევს, რომ უფლის ჭეშმარიტი მოწაფენი ვიყოთ.

ვისურვებდი, რომ ამისათვის სიტყვები მყოფნიდეს!

ფოტო: ბრაზილიის საერთაშორისო ასე

„ღმერთს თავისი დიდების ჩვენთან გაზიარება სურს“ - ეს იყო ის კონკრეტული გზავნილი, რომლითაც პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა 2017 წლის 6 აგვისტოს ნატალიში (ბრაზილია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე თემს მიმართა.

იერუსალიმი ღვთის სასუფევლის სახე

„დღეს ამ ტექსტს იესო ქრისტესთან მიმართებაში მოვიაზრებთ“, ამ სიტყვებით დაიწყო ქადაგება პირველმოციქულმა. მან აღნიშნა, რომ იერუსალიმი ეკლესიის სახეა. აქ ზეციური იერუსალიმი, მორწმუნეთა თემი, იგულისხმება. „და, აი, ამ თემს მიმართავს ღმერთი: ‘მე შენ ბოროტისგან გიხსნი და ჯერ კიდევ ბევრ ადამიანს მივიყვან იერუსალიმში.“

- იესომ ჯოჯოხეთსა და სიკვდილს სძლია: „ის ამ გამარჯვებას ჩვენც გაგვიზიარებს. იგი საბოლოოდ გვიხსნის ბოროტისა და სიკვდილისგან. აღარასოდეს არანაირი შეხება აღარ გვექნება ბოროტთან! როცა იესო მოვა, ჩვენც მისი გამარჯვების მოზიარენი გავხდებით.“
- იესომ აღდგომის სხეული მიიღო: „იგი იყო პირველი, ვინც აღდგომის ამ სხეულით ღვთის სასუფეველში შევიდა. ის იქ პირველია მრავალ ძმათა შორის და მას ჩვენც გაგვიზიარებს.“
- ჩვენ ღვთის დიდებაში შევალთ: „ვისურვებდი, რომ სიტყვები მყოფნიდეს ამის აღსაწერად. მაგრამ ასეთი სიტყვები არ არსებობს. ამის წარმოსადგენად ეს აზრი შეიძლება დაგვეხმაროს: ეს დიდება იმდენად დიადი და ბრწყინვალე იქნება, რომ მარადისობაში მყოფებს ღვთისათვის მადლობის გადასახდელად და მის სადიდებლად ახალ-ახალი საფუძველი გვექნება!“

ხვალ კი არა, დღესვე

თუმცაღა არ არის ალბათ აუცილებელი, რომ უფლის მოსვლას დაველოდოთო, აღნიშნა პირველმოციქულმა. „დღესვე შეგვიძლია წინასწარ ვიგემოთ იგი. ღვთისმსახურებაზე ღმერთი წყალობას გვანიჭებს და ჩვენ ამას შევიგრძნობთ. დღესვე შეგვიძლია ვისარგებლოთ იესო ქრისტეს დამსახურებით.“ და ჩვენს გარშემო მყოფმა ადამიანებმა ეს უნდა შეამჩნიონო, მოუწოდა მან მსმენელებს.

მომავალი - აწმყო - ამოცანა

და ბოლოს, იესო ყველა ადამიანისათვის მოკვდა და ამიტომაც მისი მსხვერპლი ყველასთვისაა. ის კიდევ ბევრ ადამიანს მიიყვანს თავის ქალაქში. ამიტომაც ეს ეხება იმათ, ვისაც უკვე აქვს იქ ადგილი: „ძიდით მათთან, აჩვენეთ გზა, გაანთავისუფლეთ ქვებისგან მათი ეს გზა.“ ჩვენი ამოცანაა, ჩვენი ქცევით, ჩვენი მოწმობით, ჩვენი სიტყვითა და საქმით დავაყენოთ ისინი სწორ გზაზე.

დასასრულს პირველმოციქულმა შნაიდერმა თქვა: „ჩვენ ადამიანებისათვის გზის მაჩვენებლები უნდა ვიყოთ. ეს არის ჩვენი მომავალი - ეს არის ჩვენი აწმყო - ეს არის ჩვენი ამოცანა.“

ნატალიში (რიო გრანდე დო ნორტე, ბრაზილია), სასტუმრო Holiday Inn-ში, 438 მორწმუნე შეიკრიბა. პირველმოციქულის ქადაგება საკურთხევლიდან პორტუგალიურ და ესპანურ ენებზე ითარგმნებოდა.

დაბრუნება სახლში

იესო წავიდა, რათა ადგილები მოემზადებინა. პირველი სიურპრიზი: ეს ადგილი დიდი ხანია მზად არის. სიურპრიზი ნომერი მეორე: კაცობრიობა უკვე იყო იქ ერთხელ. ისმის კითხვა: როგორ დაბრუნდება უკან სახლში?

114. 000-ზე მეტმა მორწმუნემ მიიღო მონაწილეობა ღვთისმსახურებაში, რომელიც პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა 2017 წლის 15 ოქტომბერს კეიპტაუნში (სამხ. აფრიკა), კლარემონტის თემში ჩაატარა - უმეტესად ვიდეო-ტრანსლიაციის მეშვეობით.

გავიხედოთ შორს, დავინახოთ მთელი სურათი

როცა იესომ ეს სიტყვები წარმოთქვა, ის მოწაფეებთან ერთად იმყოფებოდა და აღწერდა, თუ რა ელოდებოდა წინ - გაცემა, ტანჯვა, გაჭირვება. მოწაფეები შეწუხდნენ, მაგრამ იესომ უფრო შორს გაახედა ისინი და უთხრა, რომ მამასთან მიდიოდა. „ეს არის მიზანი“, განმარტა პირველმოციქულმა. „მას სურდა, რომ მოწაფეებს ამ ისტორიის დასასრული სცოდნოდათ.“

„ეს ჩვენც გვეხება.“ რამეთუ: „ვიცით, რომ ტანჯვა უნდა გავიაროთ, ვიცით, რომ მძიმე ტვირთის ტარება მოგვიწევს.“ მაგრამ ღმერთს ჭირ-ვარამისკენ კი არ მიჰყავს მორწმუნენი, არამედ ჭირ-ვარამის გავლით თავის სასუფეველში. „მაშ, დაე, ჩვენი მზერა ყოვლისმომცველი იყოს, დაე, სულიწმიდასთან ერთად უფრო შორს ვიყურებოდეთ.“

ფოტო: სამხრეთ აფრიკის ახსე

სადაც მუდამ უნდა იყოს ადამიანი

იესო ადგილის გასამზადებლად წავიდა. რა ადგილია ეს? „ეს ის ადგილია, სადაც ადამიანი მუდამ უნდა ყოფილიყო“, რამეთუ ღმერთმა ადამიანები მასთან თანაზიარებისათვის შექმნა. მაგრამ ცოდვით დაცემის შედეგად ეს ადგილი დაიკარგა.

იესო ამქვეყნად ამ ადგილის ხელახლა მოსამზადებლად მოვიდა: „თავისი სამსხვერპლო

44-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მათ შორის 17 წელი მოციქულად, მოციქული ჯონ. გ. სტეფენსი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

სიკვდილითა და აღდგომით მან ადამიანებს ღვთის სასუფეველში შესვლის შესაძლებლობა მისცა“, აღნიშნა ეკლესიის ხელმძღვანელმა. „ეს ადგილი დიდი ხანია მზად არის. ყველა ჩვენთაგანს აქვს იგი ზეცაში. ეს საქმე მოგვარებულია. ადგილი მზად არის და ჩვენღა გველოდება.“

არა მარტო დავრჩეთ, არამედ ვიაროთ კიდეც

იქითკენ მიმავალი გზა ნათელია: „მე ვარ გზა“, ამბობს იესო. „მაშ, ვიაროთ ამ გზით“, თქვა პირველმოციქულმა - იმ გზით, რომელიც იესომ გაგვიკვალა:

- რწმნის გზით: „მე ისეთი ადამიანი ვარ, რომელსაც ყველაფერი კარგად უნდა ესმოდეს, მტკიცებულებები მჭირდება. მაგრამ, როცა იესო ქრისტესა და მის საქმეზეა ლაპარაკი, მაშინ უნდა ვაღიარო, რომ გონებით ვერ ჩავწვდები მას. მოდით, წინ წავიდეთ - რწმენაში“;
- საიდუმლოების გზით: ვისაც ღვთის სასუფეველში შესვლა სურს, ხელახლა უნდა დაიბადოს წყლისა და სულისგან. ხოლო, ვისაც აღდგომა სურს, იესოს ხორცსა და სისხლს უნდა ეზიაროს. „ეს ეკლესიას არ დაუდგენია. ეს თავად იესო იყო“;
- მორჩილების გზით: „ვისაც იესოს მიმდევრობა სურს, მისი მცნებები უნდა დაიცვას. რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ეს, დავრჩეთ ამ გზაზე. ის იესოსკენ მიმავალი ერთადერთი გზაა“;
- საკუთარი თავის უარყოფის გზით: „იესოს უფრო მეტი უნდა, ვიდრე უბრალოდ მორჩილი ადამიანები. უფალს სურს, რომ დავემსგავსოთ მას, მისი ზრახვები ჩვენი ზრახვები გახდეს. ისევ შეცვლის გზაზე ვდგავართ?“
- ერთობის გზით: „უნდა ვისწავლოთ, რომ ქრისტეში ერთნი გავხდეთ, რადგან ის ცალკეული პიროვნების წასაყვანად არ მოვა. მას სურს, წაიყვანოს ხალხი, რომელშიც ერთობაა.“

„არ არის საკმარისი, დავრჩეთ ამ გზაზე. წინ უნდა ვიაროთ“, განაცხადა ბოლოს პირველმოციქულმა: „იესო კვლავ მოვა. ის ჩვენთან შესახვედრად მოვა, რადგან იცის, რომ ამას მარტო ვერ შევძლებთ. და როცა ვლოცულობ: „მოდი, უფალო იესო!“ სულში მისი პასუხი ჩამესმის:, აჰა, მოვალ, მაგრამ შენც წამოდი. ნუ გაჩერდები, გააგრძელე ეს გზა.“

ძირითადი აზრები

იოან. 14, 3, 4:

„როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ. სადაც მე მივდივარ, თქვენ იცით ის გზა.“

თავისი მსხვერპლითა და აღდგომით იესომ ღმერთთან ადგილები გაგვიმზადა. ის კვლავ მოვა, რათა თან წაიყვანოს ისინი, ვინც მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

იესოს ცდუნება

მათ. 4, 1-11

იესომ იოანეს მოანათვლინა
თავი; ამის შემდეგ ღვთის
სული გადმოვიდა მასზე.
და აი, იესო უდაბნოშია. იქ
ეშმაკი იესოს დარწმუნებას
შეეცადა იმაში, რომ
გაეკეთებინა ის, რასაც იგი
ეუბნებოდა. მაგრამ იესო არ
დაემორჩილა მას.

მას შემდეგ, რაც იოანემ იესო
იორდანეში მონათლა, ღვთის
სულმა ის უდაბნოში წაიყვანა.
იქ ეშმაკი სცდიდა მას.
იესომ ორმოცი დღე და
ორმოცი ღამე იმარხულა,
არაფერი უჭამია და ამიტომაც
შიოდა.

ამ დროს მოვიდა ეშმაკი
და უთხრა: „თუ შენ ღვთის
ძე ხარ, თქვი, რომ ეს ქვები
პურებად იქცნენ.“
იესომ მიუგო: „დაწერილია,
რომ არა მხოლოდ პურით
ცოცხლობს კაცი, არამედ
ღვთის პირიდან გამომავალი
ყოველი სიტყვით.“
მერე ეშმაკმა იგი
იერუსალიმში წაიყვანა და
ტაძრის ქიმზე დააყენა.
უთხრა იესოს: „თუ შენ ღვთის
ძე ხარ, გადაიგდე თავი ძირს,
ვინაიდან დაწერილია: ‘თავის
ანგელოზებს უბრძანებს შენზე
და ისინი ხელში აყვანილს
გატარებენ, რათა ქვას ფეხი არ
წამოჰკრა.“
იესომ უპასუხა: „ასევე
დაწერილია: ‘არ გამოსცადო



უფალი, ღმერთი შენი.“
და აი, ეშმაკმა იგი ერთ
ძალიან მაღალ მთაზე
აიყვანა და ამა ქვეყნის ყველა
სიმდიდრე და დიდება
დაანახა.
და უთხრა: „ყოველივე ამას
შენ მოგცემ, თუ დამხობილი
თაყვანს მცემ.“
მაშინ იესომ უპასუხა:
„განვედ, სატანავ,
ვინაიდან დაწერილია:
‘უფალს, შენს ღმერთს
ეცი თაყვანი და მხოლოდ
მას ემსახურე.“
„მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა
და აჰა, ანგელოზები
მიეახლნენ და
ემსახურებოდნენ
მას.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოვეგმა 01/2018 წ.; ილუსტრაცია: მირელა ფორტუნატი

სტუმრად სინტიასთან ნდჯამენაში (ჩადი)

გამარჯობათ, მე მქვია სინტია, ვარ თორმეტი წლის. შარშან, 2017 წლის იანვარში, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდრემა ჩადიში სამი ღვთისმსახურება ჩაატარა და ერთ-ერთი მათგანი დედაქალაქ ნდჯამენაში, სადაც მე ვცხოვრობ. მე მომეცა შესაძლებლობა, რომ ყვავილების თაიგულით მივსალმებოდი მას.

გამარჯობათ, მე მქვია სინტია, ვარ თორმეტი წლის. შარშან, 2017 წლის იანვარში, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდრემა ჩადიში სამი ღვთისმსახურება ჩაატარა და ერთ-ერთი მათგანი დედაქალაქ ნდჯამენაში, სადაც მე ვცხოვრობ. მე მომეცა შესაძლებლობა, რომ ყვავილების თაიგულით მივსალმებოდი მას.

ჩადი აფრიკის შუაგულში მდებარეობს. ჩრდილოეთი ძალიან მშრალია, იქ არის საჰარას უდაბნო და ვულკანური წარმოშობის ქედები. აქედან სამხრეთით სუბ-საჰარა მდებარეობს, ნახევრად უდაბნო.

ქვეყნის სამხრეთში არის ტყეები და სუბტროპიკული სავანები, ბევრი ცხოველის სამშობლო.

ქვეყანას ორი მდინარე რწყავს, შარი და ლოგონე. ისინი ნდჯამენასთან ერთვიან ერთმანეთს და ცოტა მოშორებით ჩადის ტბაში ჩაედინებიან. ჩვენ ქალაქის განაპირას ვცხოვრობთ - როცა ქალაქში წასვლა გვინდა, მდინარე შარი უნდა გადავლახოთ.

შეიძლება ჩემი ოჯახი წარმოგიდგინოთ? უკანა რიგში გვხედავთ მე, დედაჩემ საბინას, ჩემს დეიდაშვილ კაროლინას და დეიდაჩემ ფელისიტეს. ფეხზე დგანან ჩემი დეიდაშვილი ფრედერიკი პაპაჩემთან ერთად და ჩემი დეიდაშვილი ანასტასია ბებიაჩემთან ერთად. მამაჩემი, ქრისტიანი, სურათზე არ ჩანს.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 01/2018 წ., ფოტოები: ბორდი NOA Photo Library/wikicommons, Fotolia.com – Friedemeier – anankkml – Eric Isselée

ფოტო: ©Helen Hotson - fotolia.com

ხსნა ახალ შემოქმედებაში

ახლოს შენთან, ღმერთო: რა როლი აკისრია სასძლო თემს ახალ შემოქმედებაში? განსაკუთრებული ადგილი უკავია მას, უფრო ახლოა? პასუხი ნათელია.

კატეხიზმოში ახსნილია, რომ ახალსამოციქულო ეკლესია ქრისტეს მეორედ მოსვლის რწმენას აღიარებს ისე, როგორც იგი ადრეული ეკლესიის აღმსარებლობებშია ჩამოყალიბებული. ჩვენ გვწამს, რომ იესო ქრისტე კვლავ მოვა (ძალითა და) დიდებით ცოცხლებისა და მკვდრების განსაკითხავად (აპოსტოლიკუმი, კატ-კპ 34), და „მოველით ... ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა“ (ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი, კატ-კპ 35).

როცა იესოს მეორედ მოსვლაზე ვლაპარაკობთ, უპ. ყოვლისა, პირმშოთა ზეატაცებას ვგულისხმობთ. ამაზეა კონცენტრირებული მოციქულობა, მით უმეტეს, რომ ამ მოვლენისათვის მომზადება ერთ-ერთი საფუძველთაგანია მოციქულის სასულიერო თანამდებობის პერსონალურად აღდგენისა მეცხრამეტე საუკუნეში. მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია ისიც, რომ მხედველობიდან არ დავკარგოთ ხსნის ღვთიური გეგმა მთლიანობაში.

ღმერთი იქნება „ყველაფერი ყველაფერში“

ღვთის საქმეები იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ყველა დროის ყველა ადამიანმა მიაღწიოს ხსნას. პირმშოები, რომლებსაც უფალი თავისთან წაიყვანს, იმ ადამიანებს შეუერთდებიან, ვინც „დიდი ურვის“ ჟამს ქრისტეს გამო სიცოცხლე დათმო. ათასწლიან მშვიდობის სამეფოში ხსნას ყველა ადამიანს შესთავაზებენ. მაშინ ყველა იმათგანს, ვინც ქრისტეს აირჩევს, ახალ შემოქმედებაში შესვლის უფლება მიეცემა და ისინი ღვთიური სიცოცხლით აღივსებიან. და ღმერთი იქნება მაშინ „ყველაფერი ყველაფერში“ (1. კორ. 15, 28). ამის მერე ადამიანები ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში იცხოვრებენ. სამარადისოდ იმეფებს მშვიდობა და სიხარული, ვინაიდან ყოველივე - ახალი ცა, ახალი მიწა და იქ მკვიდრნი - ღვთის ნებასთან თანხმობაში იქნება.

სურათები მომავლიდან

იესო ქრისტე სხვადასხვა მაგალითებს იყენებდა, როცა ხსნაზე ლაპარაკობდა. იგავი ათ მნაზე (ლუკ. 19) შეიძლება იმაზე მითითება იყოს, რომ ხსნაში „იერარქიაც“ არსებობს: დიდგვაროვანი კაცი პირველ მონას ათ ქალაქზე ხელმწიფებას შეჰპირდა, მეორეს კი - ხუთ ქალაქზე. მართალია, ეს იგავი თემატურად არ მიუთითებს ხსნის იერარქიაზე, მაგრამ იმ პოზიციას წარმოაჩენს, რომელიც ხსნის შესათვისებლად არის მნიშვნელოვანი. როცა იესო „ხელმწიფებაზე“ ლაპარაკობს, იმაზე მიანიშნებს, რომ მორწმუნეები

- მასთან ერთად განაგებენ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მის დიდებას გაიზიარებენ;
- გარკვეულ სამოქმედო ასპარეზს მიიღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლავაც გააგრძელებენ მსახურებას.

არანაირი იერარქია ხსნაში

ისმის კითხვა, თუ რა ადგილს დაიკავებს სასძლო თემი ახალ შემოქმედებაში. იოანეს გამოცხადებაში „ახალ იერუსალიმზეა“ ლაპარაკი, მსახურებზე, რომლებიც ღმერთის სამსახურში იქნებიან და მასთან ერთად განაგებენ.

ეს არის ადამიანების ღმერთთან და ურთიერთშორის თანაზიარების სურათები. იმაზე ლაპარაკი, რომ, გამოცხადების თანახმად, ახალ შემოქმედებაში ხსნის ორი კატეგორია იარსებებს, დამარწმუნებელი არ არის. ნუთუ მართლა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ახალ შემოქმედებაში ღმერთთან თანაზიარების ორი კლასი იარსებებს? ანუ ისინი, ვინც ქრისტეს მეორედ მოსვლის მონაწილე გახდა, გამორჩეულ ადგილს დაიკავებენ ახალ შემოქმედებაში?

ამგვარი წარმოდგენა არ შეესატყვისება ახალი აღთქმის მოწმობას. თუ ღმერთი უკვე ყველაფერია ყველაფერში ან ყველაში, მაშინ ამაზე უფრო გამორჩეული რამ არ შეიძლება რომ არსებობდეს. არ არსებობს ისეთი არაფერი, რაც საუკუნო სიცოცხლის სისავსეზე დიდი იქნება, რაც სამერთ ღმერთთან თანაზიარებაზე უმეტესი იქნება მის დიდებასა და ნათელში!

ყველსათვის: თანაზიარება ღმერთთან

უფლის სიყვარული განუყოფელია მოყვასის სიყვარულისგან. იესო თავისიანებისგან მოელის, რომ მოყვასი ისეთი ეყვარებათ, როგორიც არის. ის, სრულქმნილი, მზად არის თავისი მემკვიდრეობა ჩვენ, ცოდვილებს, გაგვიზიაროს, ვინაიდან ვუყვარვართ. თუ იესოსავით გვეყვარება, მაშინ გული არ დაგვწყდება, თუ იგი ჩვენს მოყვასსაც იგივეს მიაგებს, რასაც ჩვენ ...

სხვებს კი იმისი ეშინიათ, რომ ჩვენი რჩეულება ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს, თუკი იტყვიან: ახალ შემოქმედებაში ღმერთი ყველას მისცემს მასთან საუკუნო თანაზიარებაში ცხოვრების შესაძლებლობასო. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აგვირჩიეს არა იმიტომ, მარტო ჩვენ რომ გადავრჩეთ, არამედ პირველად გადარჩენის შესაძლებლობა რომ გვქონდეს. ნუ დაგვავიწყდება, ჩვენი რჩეულება, პირველ რიგში, მოწოდებაა: ჩვენ მოწოდებულნი ვართ, ვემსახუროთ ღმერთს, ვიუწყოთ და ვიმოწმოთ მის სიკეთეებზე - დღეს და ათასწლიან მშვიდობის სამეფოში. მოდით, სიხარულით აღვასრულოთ ეს მსახურება, რათა ღმერთს წყალობისათვის შევწიროთ მადლი და არა საზღაურის მისაღებად.

ფოტო: ოლივერ როუტენი

საკონფირმაციო ფიცის მნიშვნელობა

ეს ნათლობით დაიწყო: ახალსამოციქულო ეკლესიის საკონფირმაციო ფიცი 1700 წელს ითვლის. საიდან მოდის ტექსტი და რას ნიშნავს იგი?

დღევანდელი საკონფირმაციო ფიცი მოცემულია ტექსტში, რომელიც ჩვ. წ-აღ-მდე III საუკუნეში შეიქმნა. ამ ტექსტს „traditio apostolica“ უწოდებენ, რაც ლათინურად „სამოციქულო გადმოცემას“ ნიშნავს. მას სწავლულ იპოლიტე რომაელს მიაწერენ. „სამოციქულო გადმოცემა“ „დიდაქესთან“ ერთად (II საუკუნის „მოძღვრება თორმეტი მოციქულისა“) უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა ადრეული ქრისტიანული თემების საეკლესიო ცხოვრებისა და ღვთისმსახურების ლიტურგიისათვის.

ჩვენი საკონფირმაციო ფიცის ტექსტს „სამოციქულო გადმოცემაში“ ვხვდებით, ნათლობასთან დაკავშირებულ განსაზღვრებებში. მაშასადამე, თავიდან ის ნათლობის ფიცი იყო, როგორც წესი, იგი იმ მოზრდილებს უნდა დაედოთ, რომლებიც ქრისტესთან მოიყვანეს და რომლებმაც ნათლობის გაკვეთილები გაიარეს. როცა ბავშვებს ნათლავდნენ, მათ მაგივრად მშობლები ან ოჯახის რომელიმე წევრი დებდა ფიცს.

ახალსამოციქულო ეკლესიაში საკონფირმაციო ფიცის ტექსტად ნათლობის ძველი ფიცი გამოიყენება. ამდენად, ფიცს, რომელიც მშობლებმა ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის დროს დადეს, ახლა უკვე კონფირმანდები ადასტურებენ. ცნება „კონფირმაცია“ მოდის ლათინურიდან „confirmatio“, რაც

დადასტურებას, განმტკიცებას ნიშნავს. დადასტურება ხდება იმ თანხმობისა, რომელსაც კონფირმანდები საიდუმლოთა მიღებაზე და ქრისტეს მიმდევრობაში ცხოვრებაზე აცხადებენ.

საკონფირმაციო ფიცი ორი „ფორმულისგან“ შედგება: უარყოფის ფორმულისგან და აღმსარებლობის ფორმულისგან. მათში ის პრინციპული გადაწყვეტილებებია ასახული, რომლებიც ქრისტიანულ ყოფას განეკუთვნება: „არა“ ბოროტთან მიმართებაში სატანაზე უარის თქმას ნიშნავს, სამერთი ღმერთის მიმართ „დიახ“კი - ღვთისათვის, როგორც უფლისათვის, ჩვენი სიცოცხლის მიბარებას. უარყოფის ფორმულა ასე ჟღერს: „მე უარს ვამბობ ეშმაკზე, მის ყველა საქმესა და არსზე“ (ორიგინალში წერია: „მე უარგყოფ შენ, სატანავ, უარვყოფ შენს პომპეზურობას [ლათ.:servitio] და ყველა შენს საქმეს.“)

ამ ფორმულაში მოიაზრება ის, რომ კონფირმანდი ნებაყოფლობით აქცევს ზურგს ბოროტს, რომელმაც ეშმაკის სახე მიიღო, - კერძოდ კი, ამიერიდან იგი ამას საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ გააკეთებს! ბოროტის საქმეების მაგალითებია: ღვთისათვის ზურგის შექცევისკენ ან სულაც მის წინააღმდეგ წასვლისკენ ცდუნება, კერპთაყვანისმცემლობა, ქრისტეს მსხვერპლის დაკნინება, ღვთიური ნების დაკნინება, უსიყვარულობა ან ძალაუფლების დაუოკებელი წყურვილი. ადამიანს, რომელიც ამ ფორმულას რწმენით წარმოთქვამს, ყოველივე ამისგან დისტანცირება სურს.

„მე უარს ვამბობ ეშმაკზე, მის ყველა საქმესა და არსზე და გაბარებ ჩემს თავს შენ, ო, სამერთო ღმერთო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, რწმენით, მორჩილებითა და იმ სერიოზული განზრახვით, რომ ვიყო ერთგული შენი ჩემს აღსასრულამდე. ამინ.“

უარყოფის ფორმულა არ ნიშნავს იმას, თითქოს ადამიანი ამიერიდან უცოდველია და ყოველთვის შეძლებს, თავი დააღწიოს ბოროტის გავლენებს. აქ უფრო ის არის გამოხატული, რომ კონფირმანდს გაცნობიერებული აქვს მისი ცოდვილიანობა და არ სურს, იცხოვროს ბოროტისა და ღვთის მოწინააღმდეგეთა გარემოცვაში. ამისათვის სულიწმიდის თანყოფნაა აუცილებელი, რომლის მადლიც კონფირმანდს უკვე მიღებული აქვს. ამ ფიცის დაცვას კაცი მხოლოდ საკუთარ ძალაზე დაყრდნობით ვერ შეძლებს.

უარყოფის ფორმულას აღმსარებლობის ფორმულა მოსდევს, რომელიც ასე ჟღერს: „გაბარებ ჩემს თავს შენ, ო, სამერთო ღმერთო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, რწმენით, მორჩილებითა და იმ სერიოზული განზრახვით, რომ ვიყო ერთგული შენი ჩემს აღსასრულამდე.“ პირველ რიგში, ის, ვინც ამ ფორმულას წარმოთქვამს, ხაზს უსვამს იმას, რომ ის უფლად იღებს სამერთ ღმერთს, რომელმაც მისი სიცოცხლე უნდა განსაზღვროს. ღმერთთან ერთად ცხოვრების არსებითი ასპექტებია „რწმენა“ და „მორჩილება“. ღმერთის „რწმენა“ მისადმი ნდობას ნიშნავს. ღვთიურ ნებისადმი „მორჩილება“ კი რწმენის მნიშვნელოვანი შედეგია.

ამას „სერიოზულ განზრახვაზე“ საუბარი მოსდევს. ასე რომ, არც ისე იოლია აღმსარებლობის ფორმულის წარმოთქმა, მის შესრულებას ადამიანი სერიოზულად უდგება. ის გამოთქვას თავის ნებას, რომ თანმიმდევრულად წარმართავს ცხოვრებას ღმერთთან ერთად, ესე იგი, ერთგული იქნება მისი აღსასრულამდე. ამასთანავე, ერთგულება რომელსაც კონფირმანდი ღმერთს ჰპირდება, სხვა არაფერია თუ არა პასუხი ღმერთის ერთგულებაზე, რაც საიდუმლოების მინიჭებაში და მფარველობაში გამოიხატება.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

პროგრამა

01.04.2018	ნოტინჰემი (დიდი ბრიტანეთი)
08.04.2018	კარლსრუე (გერმანია)
15.04.2018	ტორონტო (კანადა)
22.04.2018	ტრბაშელეგი (იტალია)
29.04.2018	ლივინგსტონი (ზამბია)
10.05.2018	ტრირი (გერმანია)
20.05.2018	ვაშინგტონი (აშშ)
03.06.2018	ოსტერმუნდინგენი (შვეიცარია)
10.06.2018	ლუანდა (ანგოლა)
17.06.2018	ლაიფციგი (გერმანია)
24.06.2018	ლანდსჰუტი (გერმანია)

New Apostolic Church
International